სამოტივაციო წერილი

მაქვს სხვადასხვა ტელევიზიაში ხანგრძლივი (დაახლოებით 30 წლიანი) და ნაყოფიერი მუშაობის გამოცდილება. ვარ ევრაზიის ტელეაკადემიკოსი. სხვადასხვა დროს ვმუშაობდი ტელეკომპანიებში „იმედი“, „მზე“, „ПИК“, „ქართული არხი“, როგორც პროდიუსერი, ავტორი, ტელეწამყვანი, სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელი. მაგრამ ყველაზე ხანგრძლივი და განსაკუთრებული ურთიერთობა მაკავშირებს პირველ არხთან (25 წელზე მეტი, გავიარე თითქმის ყველა საფეხური), რომლის ჩამოყალიბების და საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნის რთული პროცესის არა მარტო თვითმხილველი, არამედ უშუალო თანამონაწილე ვარ. მიმაჩნია, რომ მაუწყებელი დღესაც საკმაოდ რთული ამოცანების წინაშე დგას და ჩემი გამოცდილება, ორგანიზატორული უნარები, სრული პოლიტიკური მიუკერძოებლობა და პროფესიონალიზმი მას განსაკუთრებით წაადგება. მე ნათლად მაქვს წარმოდგენილი და ჩემს ხედვაში ასახული, როგორ უნდა გამოვიყვანოთ მაუწყებელი კრიზისიდან, დავიბრუნოთ მაყურებელი, სწორად და რაციონალურად გამოვიყენოთ არხზე არსებული რესურსი - პროფესიული თუ ტექნიკური. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, კენჭი ვიყარო გენერალური დირექტორის თანამდებობაზე.

პატივისცემით ირმა სოხაძე

11. 09. 2020 წ.